დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს ალტე უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21-22 თებერვალი, 2023 წელი

დასკვნა

წარდგენის თარიღი: 10 აპრილი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 26

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 30

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 37

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ალტე უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რომეო გალდავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კომპიუტერული მეცნიერება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Computer Science
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; „კომპიუტერული მეცნიერება“, პროგრამა ვიწრო სფეროს მიხედვით - 061 Information and Communication Technologies (ICTs)

წარმოდგენილი პროგრამა ახალია და მისი განხორციელების ენა არის ინგლისური

„კომპიუტერული მეცნიერება“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი 0613**. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი). პროგრამის სტრუქტურა შედგება სპეციალობის სავალდებულო, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტისგან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს ალტე უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21-22 თებერვალს შეხვედრები კეთდებოდა კომპიუტერული მეცნიერების ქართულ ენოვან პროგრამასთან და კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურ ენოვან პროგრამასთან მიმართებით ერთდროულად 18 თებერვალს განხორციელდა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება.

2023 წლის 21 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან , აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტი გაგრძელდა 22 თებერვალს და თავდაპირველად განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, შეხვედრა დამსაქმებლებთან, შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან.

ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ალტე- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ყველა პროგრამა შეესაბამება სწავლების

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დონეს პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზაციასთან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სასწავლო რესურსებით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, პროგრამების სტრუქტურის მცირედი ცვლილებები, ცალკეული კურსების წინაპირობებში გათვალისწინება, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის გაძლიერება.

პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება, პირველი საფეხური
სტანდარტი 1: შესაბამისობაშია სტანდარტებთან
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - რეკომედირებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.
  - რეკომენდირებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
  - აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის მიზნების მეტი თვალსაჩინოებისათვის, სასურველია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს პუნქტობრივად.
  - კურსიებისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძვლები“ და კროპროცესორების შესავალი“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“.
  - კურსს „შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“.
  - სასურველია საგანი „წრფივი ალგებრა და დისკრეტული მათემატიკა“ გაიყოს საგნებად „წრფივი ალგებრა“ და „დისკრეტული მათემატიკა“.

- მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებელთან უკუკავშირს.
- სწავლის შედეგების სიღმრისეული ანალიზისთვის, სასურველია, ინდივიდუალური საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირება და ქულების გადანაწილება სხვა ალტერნატიულ შეფასების კომპონენტებზე.
- სასურველია, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით უსდ-ს მიერ დაგეგმილი გმოკითხვები იყოს ნებაყოფლობითი.
- სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და მათი წახალისება, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.
- სასურველია, წარმატებულ სტუდნეტთა წახალისების მექანიზმებისა და კომპონენტების დეტალური ჩაშლა, თუ რა შემთხვევაში იქნება სტუდენტი უნივერსიტეტისგან წახალისებული.
- სასურველია, უნივერსიტეტმა მოითხოვოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა სრულად ასახვა CV-ში ან შეიმუშავოს შესაბამისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან მითითებული იქნება წლის განმავლობაში პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობების სრული ჩამონათვალი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ალტე უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დასკვნის პროექტებში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით (დაწესებულების წერილი - №368963, 31/03/2023), და შესაბამისად რეკომენდაცია: „რეკომენდებულია კურსის „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება, წინაპირობა იყოს დაპროგრამება C++ის ბაზაზე." ამოღებულ იქნა რეკომენდაციების სიიდან.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, ითვალისწინებს სწავლის სფეროს და საფეხურის თავისებურებებს.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მიმართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ; ითვალისწინებს სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; საჯარო და ხელმისაწვდომია; გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელიც პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპიუტერული მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შეძლებს არსებული პროგრამული პროდუქტების ანალიზს და განვითარებას ან ახალი პროგრამული გადაწყვეტილებების შექმნას სხვადასხვა სფეროს ამოცანებისთვის, თანამედროვე სტანდარტების და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით. კურსდამთავრებულს ასევე შეეძლება, განსაზღვროს საკუთარი სწავლის საჭიროებები და დამოუკიდებლად მიიღოს ახალი ცოდნა კომპიუტერული მეცნიერებების სწრაფად განვითარებად სფეროში ან გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე.

სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დადასტურდა, რომ პროგრამის შექმნის პროცესში ჩართული იყო განმახორციელებელი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები, რომელთა ჩართულობით განხორციელდა პროგრამის შემუშავება.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო ძალზედ ფართოა და ფაქტიურად მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს, ვინაიდან გულისხმობს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და განსაკუთრებით პრაქტიკული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლებას და შემდგომ განვითარებას. ეს მათ ხდის კონკურენტუნარიას დასაქმების ბაზარზე და აძლევს საშუალებას თავისი წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. ამ მიზნით აღსანიშნავია უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი და მარკეტინგული კვლევითი კომპანია „ANOVA“ - ს მიერ ჩატარებული ლოკალური შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა, რომელიც ადასტურებს მზარდ მოთხოვნილებას აღნიშნული მიმართულებით.
აღნიშნული ქვესტანდარტის შეფასების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი რჩევა: პროგრამის მიზნების მეტი თვალსაჩინოებისათვის, სასურველი იქნება პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს პუნქტობრივად, როგორც ეს მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- ლოკალური შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის დოკუმენტი
- პროგრამის კომიტეტის და სკოლის საბჭოს ოქმები
- აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ***პროგრამის მიზნების მეტი თვალსაჩინოებისათვის, სასურველია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს პუნქტობრივად.***

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის მიზნებთან, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და სრულად აღწერს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

პროგრამის სწავლის შედეგებია:

- განსაზღვრავს კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტური ცოდნის არეების ძირითად საკითხებს;
- აღწერს უშუალოდ კომპიუტერული მეცნიერებების და მისი გამოყენებით სხვა სფეროს პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს;
- განიხილავს კომპიუტერული მეცნიერებების ამოცანების/პროექტების განხორციელება-დანერგვასთან დაკავშირებულ ალგორითმებს და შეუსაბამებს სათანადო პროგრამულ საშუალებებს;
- კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა ამოცანის/პროექტის შემუშავების/განვითარების/დანერგვის პროცესში განსაზღვრავს და აკავშირებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს.
- გეგმავს, ქმნის და აანალიზებს კომპიუტერულ მეცნიერებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას, რომელიც შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს და დარგობრივ სტანდარტებს.
- შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში.
- პროფესიული საქმიანობისას, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე.
- შეუძლია გუნდური მუშაობა და მცირე გუნდის მართვა კომპიუტერული მეცნიერებების გადაწყვეტილებების შემუშავება-განვითარების პროცესში.
- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს, შეუძლია სწავლის შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელება და გეგმავს საკუთარ განვითარებას პროფესიულ სფეროში.

პროგრამის აღწერით ნაწილში მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქა. რუქის მიხედვით ნათლად იკვეთება ის ლოგიკური კავშირები, რომელიც არსებობს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, რეალურად ასახავს მათ შესაბამისობას როგოც ცოდნის, ასევე უნარების ნაწილში.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.
სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყო განმახორციელებელი აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- ლოკალური შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის დოკუმენტი
- პროგრამის კომიტეტის და სკოლის საბჭოს ოქმები
- აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, რომელიც რეგულირდება შესაბამისი შიდა რეგულაციებით, უნივერსიტეტში არსებული „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ გათვალისწინებით.

შეფასებას ექვემდებარება როგორც პროგრამის სწავლის შედეგები, ისე პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგი.

ხარისხის მართვის დეპარტამენტი ეყრდნობა შესაბამის მონაცემთა შეგროვებასა და მათ ანალიზს. ინსტიტუცია იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მექანიზმებს, რაც საკმაოდ ეფექტურია.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე თანაბრად არ იყო ჩართული შეფასების პროცედურებში. აღსანიშნავია, რომ გასაძლიერებელია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა ამ პროცესის მიმდინარეობაში და ისინი უფრო ძლიერად უნდა იყვნენ ჩართულო პროგრამის შემუშავების და მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, რაზეც უფრო დეტალურად ყურადღება 5.1 ქვესტანდარტის შეფასებისას იქნა გამახვილებული.

უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი იყო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების რუკას, სადაც ჩანს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება. ამ პროცესში ხდება პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების დადარება და თვალსაჩინოებისთვის აიგება სწორედ ეს რუკა. აღნიშნული წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ დანართს. სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება არის ლოგიკური. თუმცა, სწავლის შედეგების რუკაზე არ ჩანს რა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ხდება ცალკეული სასწავლო კურსის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა, რომელიც თავის მხრივ გვეხმარება სწავლის შედეგების შეფასებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები, არის გაზომავდი, რეალური და მიღწევადი. მათი ფორმულირებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და ანალოგიური პროგრამებთან დადარებისას გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (სამიზნე ნიშნულებით)
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა - საგანმანათლებლო პროგრამაში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერება შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად დარგის სპეციალისტების მიერ და დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სწავლის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი, პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა

უზრუნველყოფს მთლიანად პროგრამის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, სადაც ზოგადი თავისუფალი კომპონენტებია - 50 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს კურსები - 190 კრედიტი (მათ შორის, 35 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები). კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით მოიცავს ორ პროექტს: მცირე სტუდენტური პროექტი და საბოლოო სტუდენტური პროექტი 5 და 10 ECTS შესაბამისად. პროექტს ასრულებენ 3-5 სტუდენტისგან შემდგარი გუნდები. გუნდებს ყავთ ხელმძღვანელები პროგრამის პროფესორების სახით. პროგრამა სრულდება საბაკალავრო პროექტის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურა არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი, თანმიმდევრული და ლოგიკური. უზრუნველყოფილია ცოდნის გადაცემა და კომპეტენციების ჩამოყალიბება მარტივიდან რთულამდე, ზოგადიდან კონკრეტულამდე. ერთეული გამონაკლისების გარდა პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი/საგანი) ლოგიკურადაა დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. ზოგიერთ საგანს პრერეკვიზიტებში აქვს კურსები „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“ და „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“, რაც არ წარმოადგენს აუცილებლობას, კერძოდ: კურსის „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძვლები“ პრერეკვიზიტია „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“, პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით არნიშნული პრერეკვიზიტი საჭირო არ არის, კურსისთვის „შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“, საგანს „მიკროპროცესორების შესავალი“ პრერეკვიზიტად არ ესაჭიროება „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“. გარდა ამისა სასურველია საგანი „წრფივი ალგებრა და დისკრეტული მათემატიკა“ გაიყოს საგნებად „წრფივი ალგებრა“ და „დისკრეტული მათემატიკა“. რაც შეეხება პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ერთერთი დამსაქმებლის თქმით მან მოითხოვა მეტი კიბერ უსაფრთხოების საგნების დამატება, რაც არ იქნა გათვალისწინებული, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებელთან უკუკავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი

მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სილაბუსები

ინტერვიუს შედეგები.

ვებ გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კურსიებისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძვლები“ და კროპროცესორების შესავალი“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“,

კურსს „შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“,

სასურველია საგანი „წრფივი ალგებრა და დისკრეტული მათემატიკა“ გაიყოს საგნებად „წრფივი ალგებრა“ და „დისკრეტული მათემატიკა“.

მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებელთან უკუკავშირს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა შედგენილია „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს, ისე - თავისუფალი სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, დაცულია შესაბამისობა სასწავლო კურსების/კომპონენტის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის მოცულობა შეადგენს 5 ECTS და სტუდენტის სასწავლო დატვირთვის ადეკვატურია. მისი მიზანი და სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის/კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა), ასევე სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და

დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასებისთვის გამოყენებულია რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები,

სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს მოცემული სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებული სავალდებულო სასწავლო მასალა აქტუალურია და საკმარისია შესაბამისი საკითხების შესასწავლად. ის ითვალისწინებს სწავლის სფეროს მიღწევებს, არსებულ თანამედროვე კვლევებს და მორგებულია შესაბამისი სასწავლო კურსის/კომპონენტის სპეციფიკას, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სილაბუსები

კურიკულუმის რუკა

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიყვება ზოგადად მიღებულ წესებს. მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროგრამაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საბაკალავრო პროგრამაზე მოსახვედრად მსურველმა უნდა მოიპოვოს პროგრამაზე სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე ბაკალავრიატის სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სხვა უსდ-დან გადასვლის წესით ან შიდა მობილობით, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტს მოუწევს ინგლისური ენის კომპეტენციის 50%+1 ფლობის დადასტურება, ასევე დამატებით საგნად მათემატიკა ან/და ფიზიკის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადადგენილ ვადებში დასაშვებია: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში დასაშვებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური

განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ (უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში) და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში; მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი; მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავრო პროგრამა

უნივერსიტეტის ვებგვერდი

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას, ტრანსფერული უნარების განვითარებას. სავალდებულო სახითაა წარმოდგენილი სასწავლო კურსები აკადემიური წერა, სტუდენტური პროექტი, საბაკალავრო პროექტი და სხვ. საბაკალავრო პროექტი უნდა შეასრულოს სტუდენტმა ხელმძღვანელის მითითებებისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, და დაიცვას საჯაროდ. მისი მიზანია, ტექნოლოგიების სფეროში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ, კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევითი მუშაობის განხორციელების და მისი შედეგების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის უნარების განვითარება. საბაკალავრო პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი დოქტორის აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო), გამონაკლის შემთხვევებში - მაგისტრის აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროექტის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას და აფასებს სტუდენტს 70 ქულის ფარგლებში. კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისად კი სწავლის საფეხურისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. გარდა ამისა, რამდენიმე საგანში გათვალისწინებულია ჯგუფური პროექტები. უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ფარგლებში შემუშვებული სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების მოდელი შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს და პროგრამის სწავლის შედეგებს, არის სტუდენტზე ორიენტირებული და გამორიცხავს ნებისმიერი სახით სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კურიკულუმის გარე კვლევითი თუ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში - როგორც სტუდენტურ, ისე პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტების კვლევით პროექტებში მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე მექანიზმები. დანერგილია ასევე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის მექანიზმები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა,

ინსტიტუციისგან მიიღონ როგორც აკადემიური, ასევე ფინანსური მხარდაჭერა. ამისათვის პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები. სტუდენტური კონფერენციები და პერიოდული სამეცნიერო გამოცემები: უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწყობს სტუდენტურ კონფერენციას. სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობას შეიძლება იღებდენ სხვადასხვა, პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტები. კონფერენციის მოხსენებები/ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის ყოველწლიურ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო შრომების კრებულში რომელიც 2019 წლიდან ინდექსირებულია EBSCO-ს ბაზაში. სამეცნიერო შრომების კრებული არის მულტიდისციპლინური და მულტილინგვური ჟურნალი. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს.პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პრაქტიკის ობიექტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის სილაბუსები

კვლევითი პროექტების შერჩევის წესი

სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ინსტრუქცია

ხელშეკრულებები მემორანდუმები

პროგრამის ბიუჯეტი

განხორციელებული აქტივობების ცალკეული მაგალითები

ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო პროგრამების კომპონენტებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე. პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდებს, რაც გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესები და მოთხოვნილებები. თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართულია სტუდენტების დაინტერესებასა და საჭირო უნარების გამომუშავება/განვითარებაზე. სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც ორიენტირებულია უნარების მუდმივ განვითარებასა და პრაქტიკული გამოცდილებაზის შეძენაზე. პროგრამის მიზნების რეალიზაცია და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა. ცალკეულ შემთხვევებში, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლებისათვის გამოიყენება მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობა,. პროგრამის რეალიზების პროცესში გამოყენებულია: გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შებრუნებული სწავლება (filipped learning), შემთხვევის ანალიზი, დისკუსია და სხვა მეთოდები, რომელებიც აქტიურად უწყობენ ხელს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ფორმირებას, ღირებულებების ჩამოყალიბებას, დამოუკიდებლობის ამა თუ იმ ხარისხით მოქმედებას. პროგრამაში გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას ამ პროცესში დაგეგმილი შედეგების სრულად მისაღწევად. თითოეული სასწავლო კურსისთვის/კომპონენტისთვის ინდივიდუალურად შეირჩევა მისი მიზნის მიღწევისათვის საჭირო, ადეკვატური სწავლა-სწავლების მეთოდები. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესში სტუდენტთა ინტეგრაცია ხორციელდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნულის

უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს გეგმის შემუშავების ზოგად პრინციპებს და პროცედურას, პირთა წრეს და კომპონენტებს, რომლებსაც შესაძლებელია შეეხოს ინდივიდუალური მიდგომა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნილებების და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. უნივერსიტეტში მოქმედებს „ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი“, რომელიც ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული/დისტანციური სწავლების განხორციელების შესაძლებლობას ადაპტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლების ინტერაქციული მეთოდების მოქნილად გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სტანდარტულ და არასტანდარტულ ვითარებაში ყველა სტუდენტისათვის თანაბარი და ხელსაყრელი პირობების შექმნას სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ელექტრონული რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სილაბუსები

სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ალტე უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა გამოიყენება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ. პროცედურები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

უსდ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ასევე, გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონი და საქართველოს განათლებისა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. გამოყენებული შეფასების სისტემა უმეტესად მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ სილაბუსებში (მაგ:, გრაფიკული დიზანი; მანქანური სწავლება და ა.შ.) მოცემულია ყოველკვირეული საშინაო დავალებები, რაც თავისმხრივ გულისხმობს ლექტორების ზეგანაკვეთურ დატვირთვას. სწავლის შედეგების სიღმრისეული ანალიზისთვის, სასურველია, ინდივიდუალური საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირება და ქულების გადანაწილება სხვა ალტერნატიულ შეფასების კომპონენტებზე.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა სწავლის შედეგის შეფასება მოიცავს შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელებიც ერთიანად შეადგენენ საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

კრედიტი სტუდენტს ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. თითოეულ სასწავლო კურსში შუასემესტრული კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების სისტემა შედგენილი და საგნის სილაბუსში დეტალურად გაწერილია კურსის განმახორციელებელი პროფესორის მიერ. ალტე უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შემდეგი ინდექსური სისტემა და მაჩვენებლები:
დადებითი შეფასებები:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
უარყოფითი შეფასებები:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა ჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა უნდა გადაიხადოს სასწავლო კურსის შესაბამისი ღირებულება, რომელიც გამოითვლება ფორმულით: Q=S/60*n სადაც S არის საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო წლის საფასური; n - სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა.

ზემოთ მოცემული 100 ქულიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 70 ქულა, ხოლო 30 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 70 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით, შემდეგი პირობების დაცვით:
ა) შუალედური გამოცდა - 30 ქულა;
ბ) აქტიურობა (სამუშაო ჯგუფში, პრაქტიკულზე/სხვ.) - 30 ქულა;
გ) რეფერატი/პრეზენტაცია/პროექტი - 10 ქულა

უსდ-ს თვითშეფასების გაცნობისა და უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტისას გამოვლინდა, რომ სტუდენტები სემესტრის განმავლობაში იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. სტუდენტთა უკუკავშირისათვის გამოიყენება ალტეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა (https://emis.alte.edu.ge), სასწავლო პლატფორმა Moodle და ელექტრონული ფოსტა. საჭიროებისამებრ, პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებთან ინდივიდუალურად განიხილავენ მიღებულ შედეგებსა და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს. ელექტრონული სწავლების პლატფორმა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს. სისტემატურად ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სემესტრრულად ჩატარებული სტუდენთა კმაყოფილების კვლევის ფარგლებში, სტუდენტები აფასებენ ლექტორებს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რომელსაც ხარისხის სამსახური განიხილავს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების გამოკითხვა არ არის ნებაყოფლობითი და სტუდენტის პირად სივრცეში (https://emis.alte.edu.ge), სანამ კითხვარს არ შეავსებს სტუდენტი მას არ აქვს სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის უფლება. როგორც ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, ფორმის შევსება უფრო ფორმალურია და თუ ექნებოდათ შესაძლებლობა თავს აარიდებენ ამ პროცესს.

სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცესი არის გამჭვირვალე და ობიექტური. გასაჩივრების პროცესი შესაძლოა ითვალისწინებდეს შეფასების შედეგების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებლის/შემფასებლების მიერ. უნივერსიტეტში დამტკიცებული „სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“, აღნიშნული დებულებით განსაზღვრულია მიმდინარე შეფასების გასაჩივრების მექანიზმები, ხოლო გამოცდის შედეგის გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის ,,გამოცდების ჩატარების დებულებით“.

,,გამოცდების ჩატარების დებულებით“ განსაზღვრულია მუხლი 4. გამოცდის შედეგების გასაჩივრება; გამოცდების შედეგები სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში აისახება გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანებს 3 დღის ვადაში.საგამოცდო პროცედურის გასაჩივრება შესაძლებელია წერილობით, იმავე დღეს, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან. გამოცდის შედეგების გაპროტესტება შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შედეგის გამოქვეყნებიდან (სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში განთავსება) 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობით, სკოლის დეკანთან. საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნას როგორც კანცელარიაში, ასევე, გაიგზავნოს ელექტრონულად (სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში, პროტესტის ფორმის სტანდარტის აუცილებელი დაცვის პირობით), სტუდენტის პირადი პროფილიდან. აღსანიშნავია, სტუდენტებთან და კურსდამთერებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ იცნობენ გასაჩვრების პროცედურებს. რეკომედირებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტებთან შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოცდების ჩატარების დებულება;
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომედირებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგების სიღმრისეული ანალიზისთვის, სასურველია, ინდივიდუალური საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირება და ქულების გადანაწილება სხვა ალტერნატიულ შეფასების კომპონენტებზე.
- სასურველია, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით უსდ-ს მიერ დაგეგმილი გმოკითხვები იყოს ნებაყოფლობითი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უნივერსიტეტი ელექტრონულ სწავლებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (https://emis.alte.edu.ge) გამოყენებით, აღნიშნული სისტემის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ. დამატებით აღსანიშნავია, რომ პროფესორი სასწავლო მასალას, ჩაწერილ ვიდეო-ლექციას, ხელმისაწვდომს ხდის ინტერნეტში, კერძოდ, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე (https://students.alte.edu.ge) სტუდენტის პირად გვერდზე და სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს ისწავლოს, დაუბრუნდეს მასალას და გაიმეოროს.

სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მიზნით, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. ლექტორები ყოველი სემესტრის დაწყების წინ ადგენენ საკონსუტლაციო საათების განრიგს. საკონსულტაციო საათებზე დეტალური ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე (https://students.alte.edu.ge) სტუდენტის პირად გვერდზე. მტკიცებულებებისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები, არც თუ ისე ხშირად მიმართავენ კონსულტაციებისთვის პროფესორებსა თუ ადმინისტრაციას. შესაბამისად, სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და მათი წახალისება, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტებს დავალებების შესრულებისა თუ სასწავლო მასალების მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ბიბლიოთეკას, დაჯავშნონ წიგნი ან მოითხოვონ მისი ელექტრონულ ფორმატში გადმოგზავნა ან გაეცნონ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე (students.alte.edu.ge) ლიტერატურისთვის გამოყოფილ შესაბამის ველში.

ალტე უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან და/ან

უნივერსიტეტისგან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები; ასევე, უნივერსიტეტში სტუდენტის წახალისების სახეებია:

- მადლობის გამოცხადება;
- ფულადი პრემიის გაცემა;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება.

უნივერსიტეტის პრეზიდენტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად წყვეტს წახალისების ზომების გამოყენების საკითხს შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე. სასურველია, წარმატებულ სტუდნეტთა წახალისების მექანიზმებისა და კომპონენტების დეტალური ჩაშლა, თუ რა შემთხვევაში იქნება სტუდენტი უნივერსიტეტისგან წახალისებული.

სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით უსდ სტუდენტებს სთავაზობს სხავადასხვა შესაძლებლობას. სიახლეები ვაკანსიებისა თუ სტაჟირების შესახებ სტუდენტებს ეგზავნებათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია პერიოდულად იგზავნება მათ მობილურ ტელეფონზე (მათ შორის პროფესიული

განვითარება, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები, გაცვლითი ღონისძიებები) შეტყობინების სახით. ასევე, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მათ სურვილებსა და ინიციატივებზე მორგებულ სხვადასხვა მიმართულების სპორტულ, კულტურულ თუ შემეცნებით კლუბებს, სადაც საერთო ინტერესების მქონე სტუდენტები ერთიანდებიან და ქმნიან დამატებით შესაძლებლობებს განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის. თემატური კლუბები, მათ თვითრეალიზაციისა და ინტერესების სფეროების განვითარების საშუალებას აძლევს.

სტუდნეტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ საჭროა სტუდენტებთან მეტი ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით. რეკომენდირებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.alte.edu.ge);
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- რეკომენდირებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და მათი წახალისება, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.
- სასურველია, წარმატებულ სტუდნეტთა წახალისების მექანიზმებისა და კომპონენტების დეტალური ჩაშლა, თუ რა შემთხვევაში იქნება სტუდენტი უნივერსიტეტისგან წახალისებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 16 (პროფესორი - 7; ასოცირებული პროფესორი - 2; ასისტენტ პროფესორი - 7), მათ შორის აფილირებული პროფესორი - 4, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 2, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - 3. პროგამაში ჩართულია, აგრეთვე, 21 მოწვეული მერსონალი, რომელთა ძირითადი ნაწილი (16) შერჩეულია პროფესიული ნიშნით, მათ შორის 4 არის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და ფუნქციებთან. მათი შერჩევა განხორციელდა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პედაგოგიური გამოცდილებით, მათ მიერ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, წიგნების/სახელმძღვანელოებზე მუშაობით, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობით , საერთაშორისო თანამშრომლობით და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.
პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი გამოცდილება და სამეცნიერო ნაშრომები. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. მათ გააჩნიათ მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან, რაც კარგ საფუძველს წარმოადგენს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის.
პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**16**	**12**	**6**	**9**
- პროფესორი	7	4	3	4
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	7	6	1	3
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	21	16	4	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი კურსების მიხედვით
- პერსონალის პირადი საქმეები და CV
- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესი (პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები)
- ხელშეკრულების ნიმუშები
- ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები, მათი ფუნქციები და მოვალეობები
- აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			

მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა.

პირველ რიგში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, პერსონალს, დადგენილი ინდიკატორების მიხედვით, აფასებენ სტუდენტები.

“კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად, პერსონალის შეფასება ხდება, სკოლის მიერ შეგროვებული მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს ლექტორი თავადაც ახორციელებს თვითშეფასებას, რა დროსაც პერსონალი თვითონვე გამოყოფს კურსისა და პიროვნულ განსავითარებელ მხარეებს.

რასაკვირველია ხდება ამ ყველაფრის ანალიზი, რისი საბოლოო შედეგებიც ზიარდება პერსონალთან.

პერსონალის პედაგოგიური უნარების გაძლიერების, ასევე ხარისხის მექანიზმების გაცნობის მიზნით უნივერსიტეტში ტარდება სატრენინგო მოდულები.

მიუხედავად არსებულისა, აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები.

პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს შეუწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც, ბუნებრივია, მიმართული იქნება უნივერსიტეტის განვითარებისა და ხარისხის ამაღლებაზე.

მხოლოდ ანკეტირებითა და გამოკითხვის შედეგებით, ასევე ყოველწლიურად განახლებული CV-ების წარმოდგენით არ უნდა შემოიფარგლოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება. სასურველია, უნივერსიტეტმა მოითხოვოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა სრულად ასახვა CV-ში ან შეიმუშავოს შესაბამისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან მითითებული იქნება წლის განმავლობაში პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობების სრული ჩამონათვალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სამეცნიერო აქტივობები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა მოითხოვოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა სრულად ასახვა CV-ში ან შეიმუშავოს შესაბამისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან მითითებული იქნება წლის განმავლობაში პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობების სრული ჩამონათვალი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. კერძოდ: სასწავლო აუდიტორიები შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამუშაო სივრცეები, სადაც სტუდენტებს აქვთ კომპიუტერებით სარგებლობის შესაძლებლობაც, თავისუფალი სივცეები და ა.შ.

ბიბლიოთეკებში განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა - პროგრამით განსაზღვრულ საგნების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ნაწილობრივ ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს აქვთ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ისინი. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადგილზე შეუკვეთონ მათთვის საჭირო გვერდების ასლები. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე გამოცემებს. შემუშავებულია ბიბლიოთეკის განვითარების მოკლევადიანი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრებას განსაკუთრებით მოთხოვნადი და პოპულარული უახლესი ლიტერატურით უნივერსიტეტში არსებული ყველა აკადემიური პროგრამის შესაბამის სფეროში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა (კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები და სხვ), რაც ამ ეტაპისთვის სრულიად საკმარისია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც განხორციელებულია კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების დამატებითი შესყიდვები, რაც მნიშვნელოვნად გაამლიერებს აღნიშნული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- შესყიდვების დოკუმენტაცია
- ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზებზე წვდომის დოკუმენტაცია
- ვიზუალური დათვალიერება

- ფაქტობრივი მდგომარეობა

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იყო, მომდევნო 4 წლის დინამიკაში, შემოსავლის წყაროები და გაწეული ხარჯები. ხარჯები ითვალისწინებდა როგორც აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, წახალისებას, ასევე პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს, სპორტულ და პროგრამის გარეთ განხორციელებული ღონისძიებების ხარჯებს, სტიპენდიებისა და შეღავათების ხარჯებს.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებისამებრ შესაძლოა სხვა პროგრამებიდან საბიუჯეტო რესურსების გადანაწილება, რაც პროგრამის ფინანსურ მდგრადობას მოემსახურება. იკვეთებოდ პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში წლის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების (გრანტები, სამეცნიერო მივლინებები, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემის დაფინანსება, ინფრასტრუქტურის განახლება-გამდიდრება და სხვა) ნათლად და დეტალურად გათვალისწინების საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ალტე უნივერსიტეტი საქმიანობის ხარისხის ამაღლებისათვის ეყრდნობა რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს (როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო). აღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტები „საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები", ,,საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია", ,,საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები". დოკუმენტებში თავმოყრილია და შეთავაზებულია პროგრამის განმახორციელებელთათვის ყველა ის მეთოდური თავისებურება, რაც პროგრამის/სილაბუსის შემუშავებისას არის გასათვალისწინებელი.

როგორც დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, ინსტრუმენტების შემუშავებაში, შეფასებაში ზოგადად მონაწილეობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა: პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; სტუდენტები; კურსდამთავრებულები; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი; დამსაქმებლები (სხვა სუბიექტები).

უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნაკლებად იგრძნობოდა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ჩართულობა, პროგრამის შემუშავების პროცესში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამსაქმებლები ნაკლებად იცნობდნენ წარმოდგენილ პროგრამას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში. თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაშიც მინიშნებული იყო სტუდენტის მონაწილეობა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა მისი ჩართულობის გადამოწმების შესაძლებლობა და მისი როლის გამოკვეთა მთელ ამ პროცესებში.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების შედეგების შეფასებისათვის გარდა დაინტერესებული პირების (დამსაქმებლების) გამოკითხვისა, ასევე გამოიყენება განმავითარებელი კოლეგიალური შიდა შეფასება, შრომის ბაზრის ანალიზი, განმავითარებელი კოლეგიალური გარე შეფასება, უცხოურ ანალოგებთან შედარება.

უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი იყო მაღალ დონეზე შესრულებული შრომის ბაზრის კვლევა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა და უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა swot ანალიზი, გარე კოლეგიალური შეფასება და უცხოურ ანალოგებთან შედარება.
ამ უკანასკნელის მიხედვით განხილული იყო ამერიკის, ევროპის და გაერთიანებული სამეფოს 11 უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებზეც გამოიკვეთა, თუ რა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მოხდა ამ ანალოგების გათვალისწინებით, პროგრამაზე მუშაობის დროს.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სრულად ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". პროცესი არის უწყვეტი და ციკლური და ემსახურება პროგრამის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შიდა მექანიზმები, რომლეთა შედეგადაც ხდება სხვადასხვა შეფასებების განხორციელება. აქედან გამომდინარე ფასდება სასწავლო პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სერვისები, ინტერნაციონალიზაცია, ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა, სტუდენტთა სწავლის შედეგები, მართვის ეფექტიანობა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობა, კურსდამთავრებულები, ე.წ. „SWOT" ანალიზი და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის მართვის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შემდგომი განხორციელების პროცესში.

ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, ხარისხის მართვის დეპარტამენტი, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.
თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჯგუფს კონსულტირებას უწევდა ხარისხის მართვის დეპარტამენტი, პროგრამის განმახორციელებლებმა კი დაადასტურეს, რომ ხარისხის მართვის დეპარტამენტის მხრიდან

ყოველთვის აქვთ სათანადო მხარდაჭერა. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუებითაც დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს უტარდებათ პერიოდული ტრეინინგები (მაგ. სწავლა-სწავლების მეთოდებში, სილაბუსის შედგენაში).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისტანციური სწავლებისას უსდ-მ შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც აქტიურად იყენებდა ელ. სწავლების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი
- საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური ასპექტები
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი - ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები
- ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის დოკუმენტი
- ალტე უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კომპიუტერული მეცნიერების შედარება საზღვარგარეთის უნივერსიტეტების კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამასთან
- „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის ექსპერტული შეფასება
- პროგრამის SWOT ანალიზი
- ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული **ყველა** მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ალტე უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას განხორციელდა გარე კოლეგიალური შეფასება. გარე შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

გარე შემფასებელი აღნიშნავს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და წარმოდგენილი სასწავლო კურსები პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის თავისებურებად კი შემფასებელი პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნების სიუხვეს მიიჩნევს, რაც ადგილობრივი ბაზრის თავისებურებით აიხსნება. შეფასებაში ხაზგასმულია ისიც, რომ თანაბრადაა გადანაწილებული მთელი სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში დარგობრივი, მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ზოგადი და თავისუფალი მიმართულების საგნები.

გარე შეფასებისას პროგრამა საერთო ჯამში შეფასდა დადებითად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- გარე კოლეგიალური შეფასება
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ალტე უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასებებისათვის და პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით, დანიშნულებისამებრ, გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები - გამოკითხვები, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი, შიდა კოლეგიალური შეფასება, პროგრამის შედარება ანალოგებთან.

უნივერსიტეტის წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, თავიანთი მოსაზრება დააფიქსირონ როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური

რესურსის შესახებ, ანონიმურობის სრული დაცვით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი აყალიბებს რეკომენდაციებს, რომელიც წარედგინება დირექტორთა საბჭოს შემდგომი რეაგირებისათვის. შედეგად განხორციელებული ცვლილებების შესახებ კვლავ მზადდება ანგარიში - აღმოიფხვრა თუ არა გამოვლენილი ხარვეზები, განხორციელდა თუ არა რეკომენდაციები, პროგრამების თუ რესურსების განვითარების კუთხით დასმული ამოცანები შესრულდა თუ არა და სხვა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ციკლის სრულად შეკვრას.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი - სალექციო/პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნების, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების, წაკითხული თემატიკის ადეკვატურობის დადგენის მიზნით, რომელსაც ახორციელებს ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი.

უნივერსიტეტი ახდენს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანია პროგრამის შინაარსში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და პროგრამის გაუმჯობესება, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ხარისხის მართვის დეპარტამენტი უშუალოდაც განახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების შედეგების შეფასებას. ეს პროცესი მოიცავს პროგრამაზე საექსპერტო დასკვნის მომზადებას - საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის განხორციელების მიზნით, შეფასებას ექვემდებარება პროგრამების ფორმალური შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე, აგრეთვე შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებთან.

ორ წელიწადში ერთხელ ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან პროგრამა იყო ახალი, ამიტომაც უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბენჩმარკინგის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც წარმოდეგნილი პროგრამა შედარდა ამერიკის, ევროპის და გაერთიანებული სამეფოს 11 უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას. საუკეთესო პრაქტიკა გაიზარებული იქნა პროგრამაზე მუშაობისას, რაც წარმოდგენილი ანალიზით, პროგრამითა და ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა
- პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები
- სტუდენტთა გამოკითხვები
- ალტე უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კომპიუტერული მეცნიერების შედარება საზღვარგარეთის უნივერსიტეტების კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამასთან
- პროგრამის SWOT ანალიზი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ალტე უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მაქსიმ იავიჩი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

რომეო გალდავა

ნინო პატარაია

ჯოვანა აბლოთია